3 აპრილი 1908 ფასი 6 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშადური

№ 36 ყოველკვირეული ჟურნალი № 36

წლიურ ხელის მომწერთ საალდგომოდ მიუვათ:

— ყველა გამოსული №№-ბი წრეფანდელი და წარსული წლისა.
— ილია ჭავჭავაძის დიდი სურათი (ლიტოგრაფიულად ბრისტოლის ქაღალდზე) დაბეჭდილი
— „ნიშადურის“ კრებული (პირველი და მეორე წიგნი). | **წლიური ფასი 5 მან.**



უმუშავროდ დარჩენილნი— ედელფელდის ნახატი.

ილიასებური

***

ტყემ მოისხა ფოთოლი
და აყვავდა ბუნება!..
ხოლო ჩვენ კვლავ გვეტყობა
სულით დაძაბუნება!
როცა ჭყივის მერცხალი,
ვაზი ობოლი ტირის,—
ჩვენ კიდე მონები ვართ
შავის დღისა და ჭირის!
როდის უნდა მოვიკლათ
დაუშრეტი წყურვილი?..
ნეტა როდის ახდება
მგოსნის ნატვრა, სურვილი?—
როდის გამოიღვიძებს
ბეჩავი და ჩაგრული?
ან როდის აყვავდება
საყვარელი მამული!?.

თომა პუსა.

დიადი საკითხი

—

ყველა, ვინც დღევანდელი დროის ვითარებას დინჯათ დაუკვირდება, იგრძნობს, რომ კაცობრიობის წინაშე ამ ჟამად დიდებული საკითხია დაყენებული. მიწის საკუთრების მოსპობა, დედამიწის განთავისუფლება. წარსულ ჟამთა მსვლელობამ მოსპო პირადი, ცხადი მონობა, ადამიანისაგან ნათლად ადამიანის დაჩაგვრა, მოყვასის თავის საკუთრებად მიჩნევა და თავის სურვილისამებრ გამოყენება. დარჩა მონობა ფარული, თვალთათვის უჩინარი, გონებისათვის კი ცხადზე უცხადესი— მონობა სიმდიდრის შემწეობით, მონობა ყველაზე უწინარეს მიწის საკუთრების საშუალებით, რადგან ყველა სიმდიდრეთა წყარო მხოლოდ დედამიწაა და სხვა არაფერი. ამიტომ დედამიწის განთავისუფლება, მიწის საკუთრების მოსპობა—ამ ფარული მონობის მოსპობას უდრის, მოასწავებს უკვე ნამდვილ განთავისუფლებას მუშა კაცისას მონობის ჯაჭვისაგან, და არა ცალი ფეხისა ან ხელისა განთავისუფლებას, რომელსაც პირადი მონობის მოსპობა უდრიდა.

დღეს სხვა და სხვა მოძღვრებანია გადაშლილი ჩვენ თვალთა წინაშე. სახელმწიფო სოციალიზმი ჰქადაგებს მთელი კაცობრიობის შეკვრას ისეთი წყობილებით, ისეთი სისტემით, რომელიც ხალხის შემოქმედებით ძალას, საწარმოვო შეძლებას წინდა-წინ განსაზღვრულ კალაპოტში ჩააყენებს, სადაცხალხის წარმომადგენლები თავის მზრუნველობას დაუმორჩილებენ წარმოების თვითეულ დარგს, რათა შრომის ნაყოფი თანასწორად განაწილდეს მშრომელთა შორის.

სახელმწიფო სოციალიზმის წადილი მატერიალისტური, გარეგნული და უსიცოცხლო ხასიათისაა. ამ მოძღვრების ფილოსოფიას ადამიანი პირობების მონად, იმის პროვნება—ამ პირობების შემოქმედებად მიაჩნია. მდაბიურად რომ ვსთქვათ, ადამიანი იმის თვალში ისეთი ქოთანია, რომელსაც ცხოვრების ისტორიული მდინარება, ეს დახეულოვნებული მექოთნე, საითაც სურს—იქით გამოაბამს ყურს. ამიტომაც გარეგნული სოციალისტური წყობილება, გარეგნული საშუალება კაცთა შორის თანასწორობის დასამკვიდრებლად, ამ მოძღვრების შინაგან რეფორმების ერთად ერთ გზად და ხიდად მიაჩნია. სახელმწიფო სისტემა, სახელმწიფო სოციალისტების თვალში, მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას, როცა იგი უმცირესობის ხელში კი არ იქნება, როგორადაც ამას დღეს ვხედავთ, არამედ უმრავლესობას, ხალხის ხელში გადავა. ამიტომაც სახელმწიფო სოციალისტების უმთავრესი წადილია თან-და-თან ქვეყნის მართვა-გამგეობა და კანონმდებლობა ხალხის წარმომადგენლების ჩოდონ ხელში, თან-და-თან მთელი სახელმწიფო სისტემას დაეპატრონონ ხალხის საბედნიეროდ და საკეთილდღეოთ.

ამ მოძღვრების უდიდესი ნაკლი იმაში გამოიხატება, რომ იგი არ არკვევს მუშა ხალხის მონობის უმთავრეს მიზეზს, მიწის საკუთრებას, რომ იგი დომხალივით ურევს ერთმანეთში დიდი და მცირე ყურადღების ღირს საკითხებს, ერთ ფარგალში ამწყვდევს ისეთ საგნებს, რომელთაც განსხვავებული, სხვა-და-სხვა ზომისა და ღირსების ყურადღება სჭირია. იმას ნიშანში აღებული აქვს ცხოვრებისა და წარმოების ყველა დარგი, ყველა თავის მზრუნველობას უნდა დაუმორჩილოს და თვალი იმდენად არ უჭრის, რომ გაარჩიოს, თუ სად არის თავ-მოყრილი მტრის უმთავრესი ძალა, რომელი დაწესებულება წარმოადგენს მონობის უმთავრეს წყაროს, სად არის ის უმთავრესი ციხე, რომლის აღება მტრის სავსებით დამარცხებას ჰნიშნავს.

ამ მოძღვრებას მიწის საკუთრება მთელი მონობის წყაროდ, მტრის ძალების უმთავრეს ციხედ არ მიაჩნია, ამიტომ იმისი ღირსება ფუჭი და წარმავალია. იგი ადამიანის მოქმედების ძალას ჰფანტავს უბრალოდ და უშედეგოდ და მოგვაგონებს იმ უსუსურ ბავშვს, რომელმაც საგნების გამადიდებელი მინა აიღო, უხერხულად ატრიალებდა ხელში და უკვირდა. რომ მინა ცეცხლს არ აჩენდა. ბოლოს თავის გონიერ აღმზრდელს მიმართა, რომელმაც ასწავლა, როგორ უნდა დაეკავებია მინა მზის შუქზე, რათა ამ მინას მზის სხივები შეეკრიბნა, ერთ წერტილზე შეეჯგუფებია და სასურველ ადგილას ცეცხლი გაეჩაღებია.

საზოგადოეგრივ აზრსაც მხოლოდ ის გონიერი მოძღვრებანი გაუწევენ ერთგულ სამსახურს, რომელნიც საზოგადოების ყურადღებას შეჰკრებენ და მონობას იმ უმთავრეს წყაროზე დაამყარებენ, რომლის შედეგია მონობის ყველა დანარჩენი ფორმა.

ერთი სიტყვით, დღევანდელი დღე ნათლად გვიჩვენებს, რომ ყველგან გაღვიძებული ძლიერი წადილი მიწის საკითხის ძიება-კვლევისა უმთავრესი დიადი რეფორმის წინამორბედია.

ვერც ერთი მოძღვრება დღეს ვერ დაგვიხატავს იმ წყობილებას, რომელიც მიწის საკუთრების მოსპობას მოჰყვება, რადგან ეს რეფორმა კაცობრიობის უდიდესი სნეულების ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრას უდრის და წინდაწინ წარმოუდგენელია ცხოვრების რა გვარ ფორმებს შუიმუშავებს ამ ხანგრძლივი სენისაგმნ განთავისუფლებული კაცობრიობა.

ი. ნაკაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ო ლ ე ქ ს ე

—

ვინ არა სწერს ჩვენში ლექსებს?
ვის არ უნდა მოლექსობა?!
მაგრამ ლექსი, რა ლექსია,
თუ რომ გულს არ დაესობა?
ლექსს აქვს თავის კანონები
და თავისი საიდუმლო,
იმას კაცი ვერ მისწვდება,
ღორ-მუცელა და უგულო!
მაგრამ ჩვენში ეს არ ესმით,
მიაჩნიათ საადვილოდ.
ქართულს ღეჭვენ... ნაცოხრობენ
უენოთა და უკბილოდ.
გადაჭკვეცენ თავს და ბთლოს,
აამღვრევენ წმინდა-ქართულს.
„აბდა უბდა გადასკუპდა“.
ყვავი ჰბაძავს ვითომ ბულბულს...
ახლანდელი მოძრაობა
ვერ ირჯება პატიოსნად,
ეშმაკი და კუდიანი,
რომ გამოჰყავს ვითომ მგოსნად.
თუ არ რამე საეშმაკოს
სხვას ეშმაკი რაღას აქებს?
სადაც ნახავს უწმინდურსა
გაისწორებს კუდსა და რქებს,
მოსატყუარ—სათვალთმაქცოდ
ხელს მოავლებს წმინდა ჩანგსა,
მაგრამ მისი ნამღერალი,
გულზე მოსდებს ყველას ჯანგსა.
ვინ მგოსანი? ვინ ეშმაკი?
სად ვერცხლი? და ან სად ტყვია?
მაგრამ ჯერ ეს უბრალოც კი,
ჩვენში ზოგს არ შეუტყვია!..

აკაკი.

პეტერბურგი.
მარტი.

ხეობელის პასუხი

ჩემ აქ არ ყოფნის დროს გაზ. „დასაწყისში“ დაისტამბა ვიღაცა ქალის ბ-ძის ორი წერილი, რომლებიც ჩემი წერილების გამო „სოციალ-დემოკრატია სოფლად“ ის მიწვევს სამედიატორო სამართალში. არას ვიტყვი იმ ლანძღვა-გინების შესახებ, რომლითაც აჭრელებულია ეს წერილები, არას ვიტყვი აგრეთვე იმის შესახებ, თუ რამდენად საკადრისია ადამიანისთვის სხვისი სინიდისის უსინიდისოდ შეხება და წეწვა-გლეჯა, მხოლოდ მინდა ვუპასუხო ქ-ნს ბ-ძისას და იმათ, ვინც მას ზურგს უკან ამოფარებია, რომ მე ბ—ძესთან სამედიატორო სამართალში არ გავალ, რადგან ვინც ჩემი და ბ—ძის წერილები წაიკითხა, ის კარგად დაინახავდა, რომ **ჩვენ შორის არავითარი დავა არ ატეხილა და გამოსარკვევიც არაფერია.** ეს ერთი. მეორეც—ჩემს წერილებში ამ გვარი ფაქტები ასობით დაითვლება და ასმა კაცმა ცალ-ცალკე თუ გამომიწვია სამართალში, ამას არც დასასრული ექმნება და მედიატორების ძებნა, გარდატფილისისა, სხვა ქალაქებშიაც დაგვჭირდება. მე ჩემი წერილები მოვნათლე საერთო სახელით „სოციალ-დემოკრატია სოფლად“ თუ პარტია თავის თავს შეურაცხყოფილად სთვლის, დაე პარტიამ გამომიწვიოს სამედიატორო სამართალში და ამ გვარად კერძო პირებსაც, ქ-ნი ბ—ძისთანებს, რომლებიც კი ჩემს წერილებში თავიანთ თავს იცნობენ, როგორც სარკეში, შეძლება მიეცემათ, წარდგნენ ამ სასამართლოს წინაშე და თავის გამართლებით და წამოყენებულ ბრალდებებით ჩემს გასამართლებას ხელი შეუწყონ.

ამ ჩემს წერილის შემდეგ რაც გინდა ილანძღონ, რაც გინდ იმუქრონ კერძო პირებს მე პასუხს არ გავცემ, რადგან ვგონებ, რომ ამ ჩემმა წინადადებამ ყველა უნდა დააკმაყოფილოს, თუ კი საქმეს სარჩულად გულ-წრფელობა უდევს და არა სხვა დაბალი ხარისხის გრძნობანი.

ხეობელი.

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

—

აგერ, ვხედავ იმოსება
მრავალ ფერად მთა და ველი;
ირგვლივ ყველა აფრთოვანდა,
გადეყარათ გულს ნაღველი!
ლაჟვარდი ცა მოხდენილად
ეღიმება არე-მარეს;
ფრინველებიც ტკბილ სიმღერას
უგალობენ მშობელ მხარეს.
დილის ნამი ბუჩქში იას
ეპკურება სიამითა;
ცივი წყაროც გვერდს ჩაურბის
ჩუხჩუხით და ჩხრიალითა!
ვიშ, ამ დილით რაოდენი
ნეტარება იგრძნო გულმა;
აწ ჩაგრულებს სიხარული
მოგვივლინა გაზაფხულმა!..

ა. შ—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის მოლოდინში

პროლეტარი. თუ დაიწყო... ტყავს აგვაძრობენ!..
ბიუროკრატი. თუ დაიწყო... მოვიგებთ!
ბურჟუა. თუ დაიწყო... ავაძრობთ!..

ცრუ ბელადებს

—

შორს ხალხისგან, ვერაგებო,
ხელი უშვით წმინდა საქმეს,
თქვენა გსურთ, რომ ის შესწიროთ
თქვენს განცხრომას, თქვენს სიამეს!
ის არ მოგცემთ ამის ნებას.
არც თუ ისე ლაჩარია,
და სარგებლობთ მხოლოდ იმით,
რომ აწმყოში ავდარია!
ხელი უშვით ხალხის დროშას,
ნუ სცხებთ ჩირქსა და ნუ მწიკვლავთ,
თქვენს ქვებუდან გრძნობა სურვილს
ვერა, ვერა, ვერ მოიკლამთ!
იუდანო, კარგადა სჩანს
თქვენი შუბლი, თქვენი მკლავი,
ის ძმათ სისხლით ნაღებია,
მსხვერპლს არა აქვს სათვალავი!
იუდანო, კარგადა სჩანს
თქვენი ენა, თქვენი გული,
ორივენი ფარისევლის
ქურქში არის გახვეული!
ვერაგებო გულით, გრძნობით,
ვერ გაჰყიდით ტანჯულ ხალხსა,,
ის შესაფერ მსჯავრს მიუძღვნის,
თქვენს ნათესს და თქვენს ნახნავსა!
მაშ, შორს მისგან, ჩამოდექით,
მიყუჩდით და მიეფარეთ,
თორემ თავის მტერთან ერთად
თქვენც კი მწარედ შეგანანებთ!
პირზე არის გაზაფხული,
არ მომკვდარა ხალხი-გმირი,
და ბრძოლისა ქარიშხალში
ისმის მისი მოძახილი!

ი. ევდოშვილი.



„ეს-დეკის“ უიდიალო გოგრა.

პირველი სიტყვა!..

—

დიდი, დიდი ხანია არსებობს სამყარო. ხალხმა და ისტორიამ არ იცის მისი დასაწყისი... მრავალი წლები და საუკუნოებია განვლილი.

საღმრთო წერილი გვასწავლის, გვითითებს პირვანდელ ადამიანზე. გაჩნდა პირველი ადამიანი და წარმოითქვა პირველი სიტყვა!..

დიდი, დიდი ხანია მას აქეთ, რაც ახლად მოვლენილი ადამიანის ბგე, ზეშთენილ და თანდაყოლილ გონიერების მეოხებით გაიხსნა და წარმოსთქვა პირველი ადამიანური სიტყვა!.. მდიდარ და შემკულ ბუნების „წიაღსა შინა“ გაჩნდა კაცი-ადამიანი! რამ გააჩინა, რამ შექმნა იგი? საიდან მოევლინა ამ წუთისოფელს? რის ნაყოფია? რამ წარმოშვა?..

...მდიდარი და თვალწარმტაცია ბუნება! ფართე და გაშლილი მინდვრებით, აბობოქრებულ ზღვებით, თვალაუწვდენელ მთებით და კლდეებით არის გავსილი მთელი მისი სივრცე... და აი აქ, ამ უზარმაზარ ჰთებს და სალ-კლდეთა შორის... ამ გაშლილ სივრცეში,—ჰორიზონტიდან თუ ქვესკნელიდან... გაჩნდა ჰატარა სულიერი არსება!!..

რა იყო იგი სამყაროსთან შედარებით? რას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის გამოჩენილი მწერლები

(გარდაცვალებიდან 5 წლის გამო)



მავრ იოკაი

უნგრეთის შესანიშნავი მწერალი—ბელეტრისტი.
(† 3 აპრილი 1904 წ.).



სამუილ სმაილს

ინგლესის გამოჩენილი მწერალი—მეცნიერი
(† 4 აპრილს 1904 წ.).

წარმოადგენდა იგი იმ იალბუზთან, რომლის შეხედვაც კი ემძიმებოდა?!. იგი იყო პატარა... სუსტი... მაგრამ იმავე დროს ძლიერი და სულიერი...

გაისმა ხმა... აღმოსკდა მისი გულიდან უნებლიე ნოტა, რომელიც შეუერთდა, გაიბნა სივრცეში... და წარმოითქვა სიტყვა!..

იგი დადის, ხედავს, ყნოსავს, ესმის, მსჯელობს, აზრობს... არჩევს ყველაფერს... იგი მოძრაობს. . მას ამოძრავებს ძალა იდუმალი, თვალით უხილავი...—და ეს ძალა არის,—გონიერება.

...პირველი ადამიანი!.. გონიერება!.. პირველი სიტყვა!..

„მთელი ეს ქვეყანა, მთელი სამყარო შენია... შენ სამფლობელოდ ჩასთვალე... იცხოვრე, იაზრე. იშრომე... განვითარდი,—და განავითარე... საშუალებად იხმარე გონება, სიტყვა, აზრი... შეებრძოლე უმსგავსოებას, ბოროტებას, დაჰგმე, დასძლიე იგი...

აღადგინე და გაამეფე ქვეყნად—სიკეთე, კმაყოფილება, კეთილდღეობა!.. აგერ გზა, აგერ ასპარეზი!.. წინ წანიმძღვარე სიტყვა და აზრი... დაჰგმე და სძლიე დაბრკოლებანი... მრავალი ბოროტება შეგხვდება წინ! მაგრამ მაინც მედგრად ეძიე ცხოვრება, ცხოვრება სამართლიანი და ჭეშმარიტი, ცხოვრება თავისუფალი! იგი შენ წინ არის!..“

...ასეთი იყო ხმა, რომელიც მოესმა პირველ ადამიანს, და რომელიც დასაბამიდანვე, მის მომავალ ცხოვრების გეგმადვე გარდაიქცა...

...ასეთი იყო ჰირველი სიტყვა!... ასეთი ფორმა მიიღო მან!..

—

გავიდა მრავალი ჟამი, მრავალი წლები და საუკუნოები. გამრავლდა ხალხი. ერთი სიტყვის, ერთი გონიერების და აზრის მაგიერ მრავალი მოევლინა სამყაროს.

განვითარდა,—გაფართოვდა სიტყვა... თვით ბუნებაც შეიცვალა. „ადამისგან“ დაწყებული ცხოვრება მიმდინარეობდა. ჭეშმარიტების და სამართლიანობის სიტყვა ვითარდებოდა, ზოგავდებოდა-მიდიოდა მრავლად და მედგრად... იგი ეძიებდა მას, რაც შეადგენდა მის წმინდა დანიშნულებას, მის მიზანს, მის შინაარსს...

ხალხით ივსებოდა მთელი სივრცე. ცხოვრება დიდი ხნის დაწყობილი იყო. მრავალი განვითარების ხანა გაიარა და მრავალი ფერი მიილო ცხოვრებამ... წინ დარაჯად უდგა სიტყვა და აზრი... მიაქანებდა, მიუძღვოდა წინ, და მის წინამღოლობით ცხოვრებაც სხვა-და-სხვაფერდებოდა, და სიკეთის და სამართლიანობის გზაზე შემდგარი... მედგრად ეძიებდა მას...

...და აი მიდის სიტყვა და აზრი!..

იგი ვითარცა უხილავი, იდუმალი ძალა,—მოქმედობს მთელ სამყაროზე, ძლიერია იგი. ყოველ გვარ ძალაზე უძლიერესია. მის წინ მუხლს იდრეკს ყოველი ცხოველი ამა ქვეყნისა!.. იგი ერთი ამოძრავებს მთელ ცხოვრებას, მთელ დედამიწას...

... იგი ძლიერია და სამართლიანი, რადგან მასში თვით ჭეშმარიტება და სამართლიანობაა!..

მაგრამ, აბოძრავდა მის წინააღმდეგ ბოროტი ძალა. ბოროტმა სულმა დაჰფარა გარემო. მის სუნით გაიჟღენთა სივრცე. ბოროტი სული დაეპატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონა ცხოვრებას... ცხოვრება უსამართლობის ატმოსფერაში გაიხვა... გამეფდა ირგვლივ ბოროტი და, მთელს სამყაროზე უკულმართობამ და უსამართლობამ მოიკიდა ფეხი...

...მაგრამ არ გამქრალა მაინც ჭეშმარიტი სიტყვა!.. დიდ ბრძოლას და სამართლიანობის ცხოვრების გზის კაფვას საჭიროებს მისი აზრი...

და აი მიდის, და იბრძვის!.. ძიელ ძნელია მისი ბრძოლის ასპარეზი... მაგრამ იგი მაინც წინ მიდის!..

გადის დრო, ცხოვრება მიმდინარეობს,— იგი იცვლება... მედგრად მიდის სიტყვა და აზრი თავის გზაზე. მძიმე, და იმავე დროს მკვიდრია მისი თვითეული საფეხური. ერთი ნაბიჯიდან მეორე ნაბიჯამდე მთელი საუკუნოები გადიან... მაგრამ მისი კვალი ღრმად და სამარადისოდ აჩნდება ცხოვრებას. იგი იბრძვის! ბოროტი ძალა, სიბნელით და უმეცრებით მოქმედობს... ირგვლივ სიბნელის წყვდიადში ხვევს ყველაფერს... სპობს, სცდილობს მოსპოს სამართლიანობის და თავისუფლების ხმა... გაამეფოს სიბნელე და უმეცრება!

მაგრამ სიტყვა, სიტყვა სამართლიანობისა, ჭეშმარიტი აზრი-გონიერება უდგია მას დარაჯათ. იგი ნათელია, და ვით ბრწყინვალე მზის სხივი, იმგვარად შეიჭრება ყოველ სიბნელით მოცულ ცხოვრების სივრცეში,—გააშუქებს თავის სხივებს, ახდის ფარდას ბოროტი ძალის სიბნელეს, მოიცავს ირგვლივ სინათლე.. და გაალმასებული სამართლიანობისა და ჭეშმარიტებისაკენ მიილტვის, და იწვევს ყოველ სულდგმულს...

მომხდარა ხშირად მისი დამარცხებაც... მას სდევნიდნენ და სდევნიან... აწვალებდნენ და აწვალებენ... უხშობდნენ არსებობის ყოველ სახსარს... მაგრამ ეს ყველაფერი ხელოვნურად ხდებოდა... ეს დამარცხება დროებითი იყო, და არის... იგი კვლავ სწორდებოდა, თვით ბუნებრივი ძალით შეიარაღებული, კვლავ დევნილი ბოროტებისა და სიბნელისაგან, მამაცად იბრძოდა... გაალმასებულ სიტყვას და აზრს უყენებდა ყველას წინ, და კვლავ ნათელი შუქი შეჰქონდა ცხოვრებაში.

—

გადიოდა მრავალი საუკუნენი. სიტყვა და აზრი კვლავ შეუჩერებლივ იბრძოდა, მოძრაობდა, ვითარდებოდა.

მას სდევნიან, მაგრამ იმავე დროს მის წინ მუხლხ იდრეკს ყოველი ცხოველი, ყოველი ძლიერი... თვით უზენაესი ბუნებაც..

ჩვენი საზომი,—ქრისტეს დაბადებაა.

სიტყვა და აზრი კი მთელი თავისი გაჩენის პირველი დღიდან, თავისი პირველი დღის არსებობიდან მოქმედებს.

იგი მოქმედებდა ქრისტეს დაბადებამდეც, და მას შემდეგაც.

უთვალავი საუკუნოებია მას აქვთ... იგი არ დაღლილა, იგი მტკიცეთ ესწრაფვის თავის მიზანს.

იგი მოძრაობდა,—და ცხოვრებაც კვლავ გრძელდებოდა. თვით იგი,—სიტყვა და გონიერება, შეადგენს, ცხოვრების შინაარსს, მის აზრს... თვით ცხოვრებას. .

იგი არ ისპობოდა, და ცხოვრებაც არ ჩერდებოდა...

იგი არ მოსპობილა და ცხოვრებაც არ შეჩერებულა. .

და აი მეორე ხანა,—ქრისტეს შემდეგი..,

განვლო ათას ცხრაას შვიდმა წელმა... მრავალი საუკუნეა... იგი მაინც დაუღალავათ მიდის წინ, მიეშურება...

მას მრავალი საფეხურები აქვს კიდევ გასავლელი.

იგი ცოცხალია,—თვით „ცხოვრებაც ცოცხლობს“...

იგი მოდის, იბრძვის, მაგრამ იმავე დროს იპყრობს მთელ სიმყაროს,—და ნათელს ჰფენს მთელ მიდამოს...

იგი ძლიერია, ნათელი და სამართლიანი, რადგან მასში,—თვით ჭეშმარიტება და სამართლიანობაა!..

იგი მიდის, და ახალ-ახალ ნაფეხურების ნათელ კვალს სტოვებს...

სიტყვა, აზრი და გონიერება ვითარდება,—და ცხოვრებაც ვითარდება.

იგი არ მოსპობილა ჯერ,—და ცხოვრებაც არ შეჩერებულა,—იგი კვლავ გრძელდება!..

დიდებულია პირველი სიტყვა!..

იოს. ტასოშვილი.

გლეხის სიზმარი

—

გლეხკაცმა სთქვა: სახლში ვზივარ,
ვერვინ მოვა ჩემზედაო...
გავიხედე სერზედაო
„სტარშინა“ ზის ცხენზედაო,
წინ „სტრაჟნიკები“ მოუძღვის
დაგეშილი ჩემზედაო,
შემოცვივდენ უცბად სახლში,
თუმც გაუსხლტი განზედაო...
ერთმა „სტრაჟმა“ მათრახები
მომაყოლა გვერდზედაო,
გამწიეს და გამომწიეს
ტყავი მაძრეს ზურგზედაო...
ქალაქში რომ ჩამიყვანეს
მიმცეს ყაზახებზედაო,
უყურეთ ამ ხალხის მტრებსა,
რა ყოფა აქვთ ჩემზედაო!..

ეს—ფე.

განცხადება ლანჩხუთიდგან

ბ-ნო რედაქტორო! „ნიშადურში“ (№34) მოთავსებული წერილი ლანჩხუთიდგან „ლანჩხუთის ავარას“ სათაურით ეჭვი დაბადა ზოგიერთ ამხანაგებში, ამიტომ საჭიროდ ვრაცხ განვაცხადო, რომ ხსენებული წერილი სავსებით შეეხებოდა ბ-ნ კ. შ. წილოსანს და არა სხვას ვისმე.

ხოშ-გელდი.

პროვინცია.

სოხუმი (აქაური რამე-რუმე). აქაური „ბნელი საქმენი“ იქამდისინ წრეს გადავიდა, რომ 23 მარტს ქუთაისის დრ. გენ.-გუბერნატორი, გენ.-მაიორი სლავოჩინსკი ჩამოვიდა აქაური ამბების პირად განსახილველად.

იმაზე უფრო ადრე დაბრუნდა სოხუმს—ოლქის მმართველი თავადი ჯანდიერი და შეუდგა კიდეც თავის სამსახურის მოვალეობის ასრულებასა.

ამბობენ, ახლო მომავალში, ჩვენი მხარის ადმინისტრაციაში ცვლილება მოხდებაო.

ქალაქის საბჭოს საქმეების რევიზია (თითქმის ორი თვე გაგრძელდა) დაამთავრეს ქუთაისის გუბერნატორისაგან გამოგზავნილ ორმა მოხელემ. მაგრამ არავითარი „ძალლი“ არ გამოუჩხრეკიათ...

ჩვენის პოლიციის ინიციატივით, 20 მარტს დაარსდა ქალაქის („თავისუფალი“) ცხენოსანი დარაჯები. ჯერ-ჯერობით ოცი კაცისგან შემდგარია. ჯამაგირი თვიურათ დაენიშნათ ოც-და ცამეტი მანეთი, ცხენი და სხვა „საჭირო რამენი“—დარაჯებმა თავის ხარჯით უნდა შეიძინონ. დარაჯებში ყველა ერისანი ერივნენ: ერთი სომეხი, სამი მეგრელი, სამი ბერძენი და დანარჩენი ადგილობრივი აფხაზებია. ამათ უფროსად დაინიშნა ბოქაულის სულ ახალგაზდა თანაშემწე, ნამყოფის ბოქაულისავე შვილი—ბარაბანოვი. დარაჯების ჯამაგირების თანხა შედგება მცხოვრებლებისგან „თავის ნებით“ გაწერილ ფულისაგან. „რაზმის“ სამსახური ექვსი თვეს გასტანს და შემდეგ კი დაითხოვენო, რადგან სწორედ ამ ხნის განმავლობაში აპირებენ მავნე პირებისგან ქალაქის გაწმენდასა და „მშვიდობიანობის“ დამყარებასაო.

დასასრულ, რაზმის მოკლე ცხოვრობიდან ორი გასართობი შემთხვევასაც მოგახსენებთ:

წინა დღეს, მთელი რაზმი რომ ცაქანებული მიეშურებოდა კოდორისკენ, გზად შეხვედრიათ ვიღაც „ბოსიაკი“. რაზმის უფროსს მოუთხოვნია „პასპორტი“ და უთქვამს, ხომ რამე „ამისთანა-იმისთანა“ არა გაქვს თანაო. მგზავრს მოწმობა უჩვენებია, მეტი არასფერი მაქვსო და თავის გზას გასდგომია. ამისთანა ცივი პასუხისათვის უფროს რამდენიმე დარაჯი დაუდევნებია. კარგი „ობისკი“ მოუხდინეთო. მგზავრს დაუნახავს რა, რომ ვიღაც ყაჩაღები მოუსდევენ, დაუწყვია ყვირილი: „ყარაულ! ყაჩაღებმა გამცარცვეს, მომეშველეთო... საქმე პოლიცმეისტერთან გათავდა. მგზავრს უამბნია ზემოდ აწერილი შემთხვევა და უთქვამს „გაცარცვასა“ (თურმე ორასი მანეთამდე ფული თან ჰქონია) მიპირებდნენო...

შემდეგ ამისა, ქალაქის მახლობლად, მოხსენებულ რაზმს „ალყა“ შემოურტყავს შეხვედრილ ეტლზე... შიგ მსხდომი მანდილოსნებს გული შემოჰყრიათ დაუპატიჟებელ „კავალერების“ დანახვაზე. ასე, რომ ბევრი შიში „გადაუყლაპავთ“ „დატუსაღებულთ“, სანამ გაიგებდნენ საქმე რაში იყო.

იმ კვირია, შუა ღამეს გადაცილებული ყოფილა, რომ ადგილობრივ ღამის დარაჯს (არა „რაზმელს), ქალაქის განაპირად დაუნახავს ორი კამბეჩიანი ურემი თანბაქოთ დატვირთული. დარაჯს უკითხნია, ვისია თამბაქოვო. უცნობს დაუსახელებია ერი მეთუთუნე. დარაჯს ეჭვი შეუტანია. ატეხილა რევოლვერების ტკაცა-ტკუცი.

შედეგი: თამბაქო ურმებით დარჩა „ბრძოლის ველზე“, ხოლო მეურმეები თავის კამეჩებ თა გაქცეულან. არავინ დაჭრილა. მეორე დღეს თამბაქო პატრონმა დაიბრუნა და ურმები-კი პოლიციაში დაამწყვდიეს. ვაჭარმა ყველა დარაჯები დაასაჩუქრა ხუთ-ხუთ მანეთით. აგრეთვე პოლიციელებსაც ოც-და ხუთ მანეთამდე მისცა და ორი ურმის განაყიდი ფულიც მითი სასარგებლოდ გადასდო. მაგრამ... მაგრამ პოლიციის სამმართველოს ეზოდან, ერთს მთვარიან ღამეს ორივე ურემი უგზოუკვლოდ გაქრა. რასაკვრელია, ურმების „გაქცევისათვის“ ზოგიერთს ვირის აბანოში ამოაყოფინეს თავი...

სოხუმში ჩვენდა სამწუხაროდ, ჟურნილ-გაზეთების ყიდვა მოისპო. ნეტა ვინმე ღვთისნიერი გამოჩნებოდეს, რომ ამ საქმეს ჯეროვანს ნიადაგზე დააყენებდეს მცხოვრებთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და თავის ჯიბის სასარგებლოდაც.

25 მარტს საღამოს 7 საათზე, ახალ ათონის მხარეს, მეორე ვერსზე ვიღაცას მოუკლავს იქაურივე მცხოვრები ქარცხია. საქმის გარემოება ასე ყოფილა: ერთს უცნობს, სახლის პატრონი (ქარცხია) გარედ გამოუხმია—შენთან საქმე მაქვსო და როცა ქ. კარში გამოსულა, მეორეს „ბერდანის“ ცხელი ტყვია გულში მოუხვედრია და იქვე გაუშეშებია. მოკლული ცოლშვილიანი ყოფილა.

ამ დღეებში აქ მოელიან „პალაჩს“, რომელმაც ქითანავას მკვლელი უნდა ჩამოაღჩოსო.

შავი—შვილი.



ბრძოლის მზადებაში.

ერთი წერილი საქართველოდან (მოწერილი მეგობარზე გიორგისგან მასთანა ხელობის კაცთან). ძმაო N! შენს აქ მალე ნახვასა ჩვენს ტარტაროზსა ვსთხოვ. ჩემს ამბავს თუ იკითხავ, ძალიან მოწყენილი ვარ აქა. თქვენც მოგეხსენება, ახლად ჩამოსული ვარ და მანამ ხალხს გავიცნობდე დიახაც მომეწყინება. სულითა და გულით ველი შენს აქ ჩამოსვლას, მერე რაღა მომაწყენს. აქაურს ანბავს თუ იკითხავ, მოგახსენებ—აქ ძალიან ოხერი ხალხი ყოფილა. როგორც ჩამოველი ჯიჯოხეთის სტანციაზე, დიდძალი ხალხი დამხვდა და ერთბაშათ შემომძახეს: შენ იქა გვძულდი და აქ ვინ გამოგზავნაო. წარმოიდგინე ამათი უნამუსობა, იმის მაგიერ რომ ვისმე სამოთხეში დაეპატიჟე ჯოჯოხეთშიაც აღარ მისვენებენ. უბედურობა თუ გინდა, სწორედ ეს არის. ვაი ამათ ჭკუას, ალბად ვერ მიცნობენ... ცოტა დამაცადონ... ისეთი „დანოსი“ ვსტკიცო ტარტაროზს!! ღმერთმა უშველოს, ჩემი ჩამოსვლა გაეგოთ თუ არა თავად-აზნაურობას მაშინვე მოგმაშურეს; ვიფიქრე, მადლობა ღმერთს, ისენი მაინც დამპატიჟებენ სამოთხეში მეთქი! მაგრამ დაპატიჟების მაგიერ მომცვივდნენ და ფულების თხოვნა დიმიწყეს;—შენი ჭირიმე ჩემო გიგო, ათი შაური აიღე მანეთზე მოგება, ოღონდ ფული გვიშოვნეო. ათი შაური მოგება რომ გავიგონე, მოვისვი ჯიბეზე ხელი და კინაღამ გულს შემომეყარა; ფულები სულ მანდ დამრჩენოდა. შენ გეხვეწები წამომიღო ფულები. ბევრი ჩემი მოვალეც აქ ვნახე, თუმცა პირი იქით მიიბრუნეს, რომ დამინახეს, მარა მაინც ბევრი ვიცანი. აბა, დროისით მომაშველე ჩემი თამასუქები, მე ამათ ვაჩვენებ სეირსა! კაცო, მე რომ საქმე მომივიდა, იმისთანა თქვენს მტერს, ალბათ ახალი ჩამოსული რომ ვარ, სიხამით დამემართა. ჯოჯოხეთში რომ შემიყვანეს, იქ ფულების ჩხარუნი მომესმა, მივიხედე იქით და დავინახე—ერთ კაცს ქისა ეჭირა ხელში და ოქროს აჩხარუნებდა. მივედი და შევეხვეწე—თუ ძმა ხარ სანამ ფულები მომივიდეს მასესხე რამდენიმე თუმანი მეთქი, აგერ ჯოჯოხეთის სტანციაზე ხალხი დამხვდა და მანეთზე ათ შაურ მოგებას იძლევიან, შენც ისარგებლე და მეც მასარგებლე მეთქი. იმან მითხრა: ქარავანს ხომ არ დასცილებიხარო, ამ ფულებს როგორ მოვაკლებ, ეს ქისა და ფულები ისე მიჭირავს მას შემდეგ, რაც ქრისტე გავყიდეო. მ.-შინ მივხვდი მხოლოდ, რომ იგი იუდა ისკარიოტელი იყო. ეს საწყალი იუდა ძალიან სულელი ყოფილა. იმას რომ ჩემთვის ფული მოეცა, მოგებას ნახევარს იმას მივცემდი.

სხვათა შორის, ერთი დიდი მოხელეც ვნახე; დავეკითხე: შე დალოცვილო, ბარემ ოც დანოსზე მეტი მაქვს გამოგზავნილი ონელებზე—რევოლიუციის დროს ზოგი რა საქმეში იყო გარეული და ზოგი რაში მეთქი. ასე მეგონა ონის საზოგადოებას არხანგელსკში გადაასახლებდი, მარა ყურადღება არ მიგიქცევიათ მეთქი. იმან მიპასუხა: რა უყო ჩემო, გიგო, ხომ ხედავ მეც ძალაუნებურათ აქ ამომაყოფინეს თავიო. კარგათ ვიცი ჩემს აქ გამოგზავრებას, რომ შეიტყობს ივანე ჯან—შვილი სასიკვდილოთ თავს ალარ დაიზოგავს და, თუ ღმერთი გწამთ, იარაღები მიუმალეთ თავი არ მოიკლასო. რომ წამოხვიდე ჩემი მეგობარი თან წამომგვარე და მერე მე ვიცი თქვენი პატივისცემა.

რაჭველი შურდული.

რედ.-გამომცემელი **ვალერიან გუნია.**

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „**ხორაპანი**“ მადათოვის კუნძული, მუხრანსკის სახლი № 1.